

სამოქალაქო განათლების ტესტური დავალებების ნიმუშები


ნიმუში

1.1 მოთხოვნილებათა რომელ ჯგუფს მიეკუთვნება - თვითდამკვიდრება?

- ა. ურთიერთობას
- ბ. უსაფრთხოებას
- გ. პიროვნულ ზრდას
- დ. არსებობას

ნიმუში

2.1 მასლოუს ადამიანის მოთხოვნილებათა პირამიდაში დაშვებულია უზუსტობა. რომელი ორი ნაწილის გადაადგილებით მიიღება სწორი სქემატური გამოსახულება?



ბ. III- I

გ. IV-V

დ. II-III

ნიმუში

**3.1 ჩამოთვლილი ოთხი წინადადებიდან, რომელს აქვს ნეგატიური მნიშვნელობა?**

ა. „მაგრამ შიმშილით არ მომკვდარვარ და არ დავლუპულვარ ამ გავერანებულ კუნძულზე, სადაც არსებობის არავითარი პირობები არ არის“

ბ. „მაგრამ ჰავა აქ ისეთი ცხელია, რომ, თუნდაც ბევრი მქონდეს ტანსაცმელი, ალბათ მაინც ვერ ჩავიცმევდი“

გ. „თან არავინ მახლავს, რომ გამომელაპარაკოს და შვება მაგრძნობინოს“

დ. „ცოცხალი დავრჩი: ჩემი თანამგზავრებივით არ დავმხჩვალვარ“

ნიმუში

**4.1.2. რა ეწოდება საზოგადოებაში ცხოვრებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შეძენას?**

ა. ასიმილაცია


ბ. სოციალიზაცია

გ. სეკულარიზაცია

დ. სელექცია

ნიმუში

5.1 შეავსეთ გამოტოვებული ინფორმაცია.



- ა. საკუთარი უფლებები
- ბ. საზოგადოების უფლებები
- გ. თანასწორობის უფლებები
- დ. კანონიერი უფლებები

ნიმუში

7.1.2. რომელია მართებული?

- I. ღირებულეითი კონფლიქტი დაკავშირებულია გარკვეულ დამოკიდებულებებთან ამა თუ იმ მოვლენის მიმართ
- II. ინფორმაციული კონფლიქტი დაკავშირებულია ინფორმაციის ხარისხთან, დეზინფორმაციასთან
- III. ინსტიტუციური კონფლიქტი უკავშირდება წესებს, კანონებს, ნორმებს
- IV. ინტერესთა კონფლიქტი დაკავშირებულია მოთხოვნილებებთან და ქცევებთან

ჩამოთვლილთაგან მართებულია:

- ა. I, III, IV
- ბ. II, IV
- გ. II, III, IV
- დ. I, II, III, IV

ნომერი

**8.1. რომელი მოვლენა შეიძლება მოხდეს საქართველოს კანონმდებლობით, ასაკობრივად ყველაზე ადრე?**

ა. გახდე პრეზიდენტი


ბ. გახდე დეპუტატი

გ. გახვიდე პენსიაზე

დ. გახდე მოსამართლე

ნომუმი

9.1 რა არის აღნიშნული ციფრი 1-ით?



ა. პედაგოგიური საბჭო

ბ. დირექცია

გ. სამეურვეო საბჭო

დ. დისციპლინური კომიტეტი